



საქართველო

რეპუბლიკა

წელი 3 მან.

საქართველო, ივლისის 27 1920 წ.

საქართველოს მთავრობის განკარგულებაში

მომავალი ენციკლოპედია სპირიტუალური

ენციკლოპედია

მილო ლოკი—2, მათემატიკოსი—2, რუსული ენის მასწავლებელი—1. გერმანული ენის—1. სურველთ შეუძლიათ მიმართონ სამინისტროს. 3—3 782

საქართველოს სამინისტრო

ამით აცხადებს, რომ სადგურ ყაზბეგში და თერგის ოლქში მას ყვეს სურსათის შესაძენათ თავისი წარმომადგენლები, რომელნიც აღჭურვილნი არიან სათანადო უფლებებით. აღნიშნულ რწმუნებულთა გარდა არავის არა აქვს სამინისტროსგან ასეთი მინდობილობანი.

გარდა ამისა არავის არა აქვს უფლება გაიტანოს ყუბანის და თერგის ოლქებში, საქართველოს საზღვრებიდან რაიმე საქონელი: შაქარი, მანუფაქტურა, ტყავულობა და სხვა გარდა თვით სამინისტროსგან და მის ოფიციალურ ადგილობრივ წარმომადგენლებსა. 783 3—2

საქართველოს მთავრობის განკარგულებაში

შტატი

1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

№ რიგში.	თანამდებობის სახელი	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვიური	წლიური	წლიური
			ჯამი	ჯამი	ჯამი
			თეთრულს.	თეთრულს.	ყველას.
შ ა ნ ე თ ი.					
1. ვაჭარის კლიმატიური სადგური.					
1. გამგებლობა.					
1	სადგურის უფროსი	1	4500	54000	54000
2	საქმეთა მმართველი	1	3500	42000	42000
3	ბუღალტერი	1	2500	30000	30000
4	სამეურნეო ნაწილის გამგე	1	2200	26400	26400
5	მოანგარიშე	1	1700	20400	20400
6	მოლარე	1	1500	18000	18000
7	მუშების მეთვალყურე	1	1420	17040	17040
8	კანტორის მოხელე	2	1365	16380	32760
9	შეკრიკი	1	850	10200	10200
10	მცირეწლოვანი კანტორის მოსამსახ.	1	700	8400	8400
	სულ	11	—	—	259200
2. მეხალეობა და აუზები.					
1	აუზების და ბაღების გამგე	1	1500	18000	18000
2	დარაჯი	2	950	11400	22800
3	ბაღის მუშა	2	1365	16380	32760
	სულ	5	—	—	73560
3. აგურხანა.					
1	დარაჯი	2	950	11400	22800
	სულ	2	—	—	22800
4. საჯინიზო.					
1	გამგე	1	1470	17640	17640
2	დარაჯი	1	1365	16380	16380
3	ფურცელი	1	1365	16380	16380
4	მუშა	1	1365	16380	16380
	სულ	4	—	—	66780
5. ელექტრონის განყოფილება.					
1	განყოფილების გამგე	1	1680	20160	20160
2	ფულის ამკრეფი	1	2000	24000	24000
3	უფროსი მექანიკი	1	1680	20160	20160
4	მემანქანე	4	1470	17640	70560
5	მონტორი	5	1470	17640	88200
6	მორიგი განმანაწილებელი დაფასთან	2	1365	16380	32760
7	მონტორის შევირდი	1	735	8820	8820
	სულ	15	—	—	264660
6. ტელეფონის სადგური.					
1	ტელეფონისტი	4	1050	12600	50400
	სულ	4	—	—	50400
7. წყალსადენი.					
1	ოსტატი	1	1680	20160	20160
2	კანალიზატორი	2	1470	17640	35280
3	მუშა წყალსადენზე	2	1470	17640	35280
4	წყლის აუზის დარაჯი I კატეგორიისა	1	1365	16380	16380
5	" " II კატეგორიისა	2	1260	15120	30240
6	შევირდი	1	630	7560	7560
	სულ	9	—	—	144900

1920 წ. ივლისის 7-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. დომთაიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჯორჯანიძე.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

საქართველოს სახელმწიფო ბანკმა დაიწყო მოქმედება ამა წლის 24 ივლისიდან. ოპერაციები წარმოებს დღის 9 საათიდან შუადღის 1 საათამდე. ბანკის საბჭომ და გამგეობამ ჯერ-ჯერობით დაადგინა დაწესდეს შემდეგი

ს ა რ გ ე ბ ე ლ ი

1—ბანკი აძლევს

- 1) სახელდახელო ანგარიშში წლიურად 2%—დღე
- 2) უფადო ანაბარაში 2 1/2%—დღე
- 3) ვაღიან " ერთ წლამდე 3%—დღე
- 4) " " ერთი წლიდან მეტზე 4%—დღე

2—ბანკი იღებს:

1) თამასუქების და სავაჭრო ვალდებულებათა განაღდებაში ერთი თვით წლიურად 10%, 2) თამასუქების და სავაჭრო ვალდებულებათა განაღდებაში ერთი თვიდან სამ თვემდე წლიურად 11%, 3) თამასუქების და სავაჭრო ვალდებულებათა სპეციალ ანგარიშში 11%, 4) საქონლის და საქონლას მიერ საბუთებით გაცემულ სესხში 11%, 5) საქონლის და საქონლის მიერ საბუთების სპეციალ ანგარიშში წლიურად 12%, გარდა ამისა კომისიას სათანადო ოპერაციებში ყოველ თვეში 1/4%, საქონლის და საქონლის მიერ საბუთებით ოპერაციებში ყოველ თვეში 1/2, ინკაროს, საფასურთა და საბუთების შესანახი კომისია აიღებს 1/2% დანიშნულ ფასისა, მაგრამ არა ნაკლებ 10 მანეთისა. დაზღვევისა და ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯებს აიღებს იმდენს, რამდენიც წამდვილად დახარჯულია, 786 1—1

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა ნ ი

იუსტიციის მინისტრისა.

22 ივლისი, 1920 წ., № 280.

რესპუბლიკის მთავრობისა ამა წლის ივნისის 22-ს დადგენილების ძალით ქუთაისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბეგლარ ნსტორის ძე ფალავა განთავისუფლებულია თავის თანამდებობიდან და დანიშნულია იმავე სასამართლოს პროკურორის ამხანაგათ ამა წლის ივნისის 22-დან.

23 ივლისი, 1920 წ., № 281.

იგზავნება ართვინის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად სამხედრო გამომძიებელი გრიგოლ მიხეილის ძე ქორქაშვილი ამა წლის ივლისის 23-დან.

იუსტიციის მინისტრი რ. არხნიძე.

ს ა ა ქ ე ი ზ ო სა მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ს უ ფ რ ო ხ ი ა

21 მაისი, 1920 წ., № 17.

დაინიშნა: გიორგი არჯევანის ძე ანანიასვილი ნავთის ნაწარმოების შემოწმებელი კამერის მოანგარიშედ 1920 წლის ივნისის 21-დან.

23 ივნისი, 1920 წ., № 18.

დაინიშნა: ქ. ფოთის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის შეიკრიკად ვარლამ მიხეილის ძე ქავჯარაძე ივნისის 15-დან 1920 წ.

28 ივნისი, 1920 წ., № 19.

განთავისუფლებულია სამსახურიდან ერთი თვის ვადით ავადმყოფობის გამო ჯამაგირის შენახვით 1920 წლის ივლისის პირველიდან ავგისტოს პირველამდე მბეჭდავ მანქანაზე მომუშავე ელენე გიორგი რომელაშვილის ასული.

28 ივნისი, 1920 წ., № 20.

მიღებულია ერთი თვით პირველ ივლისიდან 1920 წ. მბეჭდავ მანქანაზე მომუშაველ თამარ დიმიტრის ასული ტატიშვილისა.

1 ივლისი, 1920 წ., № 21.

დაინიშნა: ერთი თვით პირველ ივლისიდან 1920 წ. თამაჯის ქარხნის კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად ქ. ტფილისში ილია ანტონის ძე ლოლობერიძე.

3 ივლისი, 1920 წ., № 22.

მიწვეულია დროებით—1920 წ. 3 ივლისიდან ამავე თვის ბოლომდე ბუხალტერიაში სამუშაოთ საქმის მწარმოებლის თანამდებობის ჯამაგირის მიცემით ზაქარია ნიკოლოზის ძე პოპიაშვილი.

5 ივლისი, 1920 წ., № 23.

მიწვეულია არიან დროებით თამაჯის ქარხნის კონტროლიორის თან. აღმასრულებლად ტფილისში ბუხალტერიაში მივლინებით: 1) გალაქიონ გიორგის ძე ლოლობერიძე 1920 ივლისის 5-დან და 2) შალვა ალექსანდრეს ძე კანდელაკი 1920 წლის ივლისის 6-დან.

13 ივლისი, 1920 წ., № 24.

დათხოვნილი არიან სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის კანცელარიის რეგისტრატორები: 1) კალინა პავლეს ასული მაქავარიანისა 1920 წ. ივლისის 1 დან და 2) ივანე ლუკას ძე რატანიანი იმავე თვის 4-5.

21 ივლისი, 1920 წ., № 25.

დაინიშნა: ვერა ნესტორის ასული მახარაშვილი რეგისტრატორად სოხუმის ოლქის აქციზის ინსპექტორის კანცელარიაში პირველ ივლისიდან 1920 წ.

23 ივლისი, 1920 წ., № 26.

შეგზავნა მიეცა სამსახურიდან ერთი თვის ვადით ჯამაგირის შენახვით—26 ივლისიდან 1920 წ. 26 ავგისტომდე ოჯახურ გარემოების გამო სააქციზო სამმართველოს სტატისტიკურ განყოფილების ბუხალტერს შალვა ქრისტესიას ძე კორინთელს.

სააქციზო სამმართველოს უფროსის თან. აღმ. მ. ხუბანაშვილი.

არა ოფიციალური განყოფილება

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

კურორტების გამოკვლევა

ივლისის 22 განსაკუთრებული კომისია ექიმ. ვ. ა. ნემსაძისა, კურორტის საქმის გამგის მ. ფ. ჩუბინის და სპეციალისტ გეოლოგის შემადგენლობით, გაემგზავრა კახეთში ახტალის ტალახის და თელავის მაზრის სხვა მდინეულ წყაროების გამოკვლევად. ამ კომისიას დავალებული აქვს რესპუბლიკის კურორტების ყოველმხრივი და დეტალური გამოკვლევა. კომისიამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმ კურორტებს, რომელთაც საზოგადოებრივი ხასიათი აქვთ. თანახმად შეკრებილ მასალისა კომისიამ შემდეგ უნდა შეადგინოს კურორტებისა და რესპუბლიკის მდინეული წყლების დაწესებულებით აღწერა.

ურთის სამინისტროში.

ციტკულიარი

ყველა სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებს პრივილეგიაში

თანახმად ამა წლის 3 ივნისის მთავრობის დადგენილებისა პროვინციის სახელმწიფო დაწესებულებათა უმცროს მოსამსახურეთა ჯამაგირი ვადიდებულია: ქუთაისის, ფოთის, სოხუმის მოსამსახურეთ 1736 მანეთის მაგ. მიეცემათ თვიური ჯამაგირი 1960 მანეთი, დანარჩენ პროვინციის მოსამსახურეებს 1624 მანეთის მაგიერ 1736 მანეთი.

ყველა პროვინციის სახელმწიფო დაწესებულებათა უფროსებს ევალებათ აძლიონ უფროს მოსამსახურეებს ნაჩვენები ჯამაგირი ამა წლის 1-ლ ივნისიდან. თუ ამისთვის თქვენ დაწესებულებას საკმაო კრედიტი არა აქვს, საჭიროა კანონიერ წესით, ფინანსთა სამინისტროს საშუალებით გამოითხოვოთ დამატებითი თანხა. ყოველ შემთხვევაში არ უნდა დააყვანოს უმცროს მოსამსახურეთათვის ახალი ჯამაგირების დარიცხვა.

გზათა დეპარტამენტი

გზების კეთება.

გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი დაამუშავა საკითხი ერობის გამგებლობაში მყოფ ზოგიერთ გზა ტექცილების და შარა-გზების დეპარტამენტის გამგებლობაში გადაცემის შესახებ. თავის მოხსენებაში დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ ამ ქაზად მის გამგებლობაში იმყოფება 1029 ვერსის სიგრძე გზა-ტექცილი და 263 ვერსის სიგრძე შარა-გზა. ამ გზების პირდაპირი გამგებლობა დავალებული აქვს გზა-ტექცილების სამართველოს. რესპუბლიკის დანარჩენი გზები ერობების ხელში არის. საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული ჰქონდა იმის გამოკრევა, თუ ვის უნდა გადაეცეს გზა-ტექცილები და შარა-გზები, იმ დავისამდე მივიდა, რომ გზა-ტექცილების სამართველოს უნდა გადაეცეს გზები 1880 ვერსის სიგრძით. თავის მხრით გზათა მიმოსვლის დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოს გამგებლობაში უნდა გადავიდეს ის გზები, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ. დასასრულ გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორი სთხოვს მიიღონ შემდეგი მისი დებულებანი:

- 1) გადავიდეს გზათა დეპარტამენტის განკარგულებაში დამატებით 1018 ვერსის გზა-ტექცილისა და შარა-გზებისა თანახმად წარმოდგენილ სიხისა.
- 2) დადასტურებულ იქნას წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა ამ გზების 1920 — 21 წლ. განმავლობაში შენახვისა საერთო ჯამით 50 მილიონი მან. და სათანადო კანონ-პროექტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.
- 3) სანამ აღნიშნული კანონ-პროექტი დამტკიცდებოდეს კანონმდებლობითი წესით, მიეცეს უფლება გზათა დეპარტამენტს გასწიოს ხარჯი ახალ გზებზე გზა-ტექცილებისათვის გადადებულ თანხებიდან.

დამფუძნებელი კრება

23 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ქ. შარაშინის ასულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები: კანონის ახალი კონსტიტუციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ; საქლავ საქონელზე გადასახადის გადიდების შესახებ და დეკრეტი ტელეგრაფ-ტელეფონის ქსელის გასაგრძელებლად 35,800,000 მან. გადადებისა და ამავე საქონეობისათვის 44,550 მან. ღირებულის მასალის მიცემის შესახებ.

დ. ონიანის მოხსენებით მიღებულ იქნა უკანაოდ დეკრეტი სახელმწიფო ქალაქების დამხმარებელ ექსპედიციის ძირითადი შტატის დამატებისა დროებითი შტატის შეზღუდვისა და მუშა-მოსამსახურეთათვის ზედმეტი გასამრჯელოს მისაცემად სათანადო თანხის გადადებისა.

ბ. თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ დეკრეტის თანახმად დეკრეტში აღნიშნულ პირთ მიეცემა ერთდროულად დახმარების სახით ერთი თვის ჯამაგირი, მხოლოდ არა უმეტეს სამი ათასი მანეთისა.

განგრობა მსჯელობისა შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტის შესახებ.

ბ. თევზაია. შრომის ხელშეკრულების კანონ-პროექტის განხილვამ, როგორც მოსალოდნელი იყო კამათი გამოიწვია. ილაპარაკეს ლ. შენგელაიამ და თედო ლლონტმა. ჩვენ გვგონია, რომ როდესაც საზოგადო მსჯელობა კანონ-პროექტის შესახებ, ორატორი უნდა ეხებოდეს მის დედა აზრს. თუ შენგელაია დარჩა ამის ფარგლებში, სამაგიეროთ თედო ლლონტი გადასცდა ამ საკითხის ფარგალს და შეეხო ჩვენი ქვეყნის საერთო სოციალურ ვითარებას. და როდესაც ჩვენ მას ადგილიდან ვეკითხებოდით, რატომ არ ლაპარაკობს თვით კანონ-პროექტზე მან რამდენიმე დებულება წამოაყენა. პირველი ის, რომ ეს კანონ-პროექტი უფარგისა. მას სჯობია სხვა ქვეყნის კანონებო. საუკეთესო კანონი შრომის ხელშეკრულების არსებობს ახალ ზელანდიაში და ეს კანონ-პროექტი მასაც არ ჩამორჩება, თედო ლლონტმა განაცხადა, რომ საფრანგეთში 15 წელიწადზე მეტია რაც განხორციელებული არის უკეთესი კანონი შრომისა. უნდა განვაცხადო, რომ იქ ერთი მეათედიც არ არსებობს იმისა, რაც

აქ ლლონტმა სთქვა. იქ კავშირებს ბრძოლა აქვთ ლეგალურ არსებობის მოპოებისათვის. აქ თედო ლლონტმა მასწავლებელთა კავშირი და მეზღვაურები დაასახელა. სწორედ ეს მასწავლებლები იბრძვიან იმისთვის, რომ მათ კავშირს არსებობის უფლება მიეცეს. იქ მასწავლებელთა ორგანიზაციაში საკითხი ისე კი არ სდგას, რომ მათ ჰქონდეთ უფლება თავიანთ ორგანიზაციაში წევრების, მიღება და თხოვნისა არამედ საკითხი სდგას იმის შესახებ, რომ მათი ორგანიზაცია იყოს ლეგალური ორგანიზაცია. და თქმა, იმის, რომ ეს უფლება უკვე მოპოებული აქვთ, ეს არის შეცდომაში შეყვანა დამფუძნებელი კრების წევრებისა, რაც მიზანს ვერ აღწევს, რადგან დამფუძნებელ კრების წევრებმა იციან ეს. მეგრამ შეცდომაში შეყვანა ამით, იმ მკითხველებისა, რომლებიც თქვენს სიტყვას წაიკითხავენ დამფუძნებელი კრების გარეშე. არც ის არის მართალი, თითქოს მეზღვაურები უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ. საფრანგეთში მთავრობის აზრით ის მეზღვაურები კი, რომლებიც კერძო ვაჭრების გემებზე მსახურობდნენ ემსახურებიან საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივ საქმეს და არ აქვთ ამიტომ უფლება გაფიცვისა და ყველაზე დიდი გაფიცვები ამ უფლების მოსაპოვებლად ხდება სწორედ საფრანგეთში ამ ხაზის მიერ. თედო ლლონტმა აქ ლლონტის მეზღვაურები ასხენა. ლლონტი არამც თუ ზღვა, დიდი ტბაც კი არ არის და არც მეზღვაურები არიან. ლლონტი არის გაფიცვები, მაგრამ არა მეზღვაურებისა, მეზღვაურები იფიცებიან არა იმისათვის, რომ მოიპოვონ უფლება თავის წევრების მიღება-დათხოვნის შესახებ, არამედ ჰქონდეთ უფლება ლეგალური კავშირებისა, რომელიც შეეერთებს ამ მეზღვაურებს და სწორედ ხელს უშლიდა საფრანგეთის მთავრობა, რომელიც ასე სვამს კითხვას: არის წარმოება და აქვს სახელმწიფოებრივი ხასიათი და სადაც ეს არის, იქ თავისუფლება კავშირებისა არ უნდა იყოს.

აქ წარმოდგენილი კანონ-პროექტი, რამდენათაც გაცნობილი ვარ მასთან, რამდენათაც მე ვიცი უკეთესი არის ვიდრე სხვა ქვეყნებისა. მე სრულიადაც არ მინდა ამით ვსთქვა, რომ ამ კანონ-პროექტს არ ჰქონდეს რაიმე ნაკლი. მეორე დებულება, რომელიც წამოაყენა ლლონტმა ეს არის ის, რომ კითხვობს ვისია ეს კანონი, ვისია კონსტიტუციაო: მუშის თუ ბურჟუაზიისა? ასე დასვა მან საკითხი. როგორც იცით ორატორი ფრაქციისა თედო ლლონტი ოფიციალურად მიიწვი იცავს დღევანდელ არსებულ ჩვენს პოლიტიკურ წყობილებას. და თქვენ ამბობთ ვისია ეს კონსტიტუციაო. ეს კონსტიტუცია არის ჩვენი ფრაქციის, თქვენი ფრაქციის და ამათი ფრაქციისა—მემარჯვენე ფრაქციისა. ეს არის დემოკრატიული კონსტიტუცია, რომელიც შეძლებს აძლევს ყველას თავისი აზრი გამოსთქვა აქ და მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს აწინებებაში თავისი კლასის ინტერესების ანდა მიხედვით თავის პირად მსოფლ-მხედველობისა. შემდეგ ამისა ორატორი ეკამათება რა თედო ლლონტს ამბობს, რომ აქ ლლონტმა მოიყვანა გილფერდინგის და სხვათა თეორეტიკოსების აზრები. მას ალბათ ისიც ეცოდინება, რომ არის ორი პროექტი გარდაქმნის. ერთი ეკუთვნის სინდ.კალისტ ჟუოს, მეორე თედო ბაუერს. უკანასკნელის კონსტიტუციაში არის ნათქვამი, რომ არა მარტო გარდაიხადება ხანში, არამედ მაშინაც კი, როდესაც დამყარდება სოციალისტური წესწყობილება, ეკონომიურ სფეროს კონსტიტუცია შესდგება სამი ელემენტისაგან: ჯერ ერთი შედის სახელმწიფო, როგორც ერთეული—მას ყავს თავისი ხალხი, მეორე შედის მუშა როგორც ერთეული და მესამე ტენიკური ძალა, როგორც ერთეული. ეს ის სამი ძალა არის, რომელიც ქნის ამ ეკონომიურ მუშაობას და უდგას მას სათავეში. და ეს უნდა იყოს მაშინ, როდესაც სოციალისტური სახელმწიფო იქნება და განა ამის შემდეგ შეიძლება სთქვათ, რომ მთელი ეს საქმე ერთ კაცს მიანდეთ. ეს ხომ მოსპობა იქნებოდა პოლიტიკურ კონსტიტუციის, შეუძლებელია ისეთ რთულ საკითხში, როგორც არის ეკონომიკა, ადამიანმა ურა პოლიტიკით იხელმძღვანელოს. ალბათ ლლონტმა იცის, რომ 1916 წელს კითხის მიერ შემუშავებული პროექტი ალბერტ ტომასს მიერ იყო წარდგენილი პარლამენტში. ეს პროექტი ეხებოდა რკინის გზებს რა იყო იქ? ვის ხელში იყო მაშინ მუშების მიღება და დათხოვნა? ალბერტ ტომასს არ უთქვამს მაშინ, რომ მთელი პოლიტიკა მუშების ხელში უნდა იყოს. მაგრამ მან სთქვა, რომ მთელი ორგა-

ნიზაცია და ჯამაგირის დანიშნა უნდა იყოს სამი დაწესებულებისაგან შემდგარ კავშირის ცენტრის ხელში. ამ კავშირში შევიდოდა ერთი ნაწილი მთავრობის წარმომადგენლებისა, მეორე ნაწილი იქნებოდა ტენიკოსებისა და მესამე მუშების წარმომადგენლების. აი ეს სამი ძალა, ეს ხალხი დაცავდა წარმოების წესრიგს და განაწილებდა მუშების ხელფასს. ასე იყო 1916 წელს, ასეთი პროექტი იყო შეტანილი პარლამენტში. ამას შევხვებთ არა იმიტომ, რომ თვით ეს შეხედულება შემცდარათ მიგვაჩნია, არამედ იმიტომ, რომ ლლონტმა დასვა კითხვა ბურჟუაზია თუ მუშა. შემდეგ ამისა ორატორი აღნიშნავს, რომ შემცდარია ლლონტის აზრი თითქოს ჩვენი ბურჟუაზია არ მიიღებს 8 საათის სამუშაო დღეს და ეს სამოქალაქო ომს გამოიწვევს. თვით წარმოების ინტერესები მოითხოვენ რვა საათის სამუშაო დღის შემოღებას და ეს არც გამოიწვევს სამოქალაქო ომს. შემდეგ ამისა ორატორი უპასუხებს რა შენგელაიას აღნიშნავს, რომ შენგელაიამ აღბად არ იცის, რომ ძალა-უფლების ხელში ალბა ეს ერთი დღის—შეიძლება ერთი საათის საქმეც იყოს, მაგრამ ეკონომიურ სოციალური გარდაქმნა ეს ერთი დღის საქმე არ არის.

დასასრულს ორატორი აღნიშნავს, რომ ამ კანონ პროექტის წინააღმდეგ ვერც ერთი მუხლი ვერ მოიყვანეს ისეთი, რომელიც არ იცავდეს საწარმოვო ძალთა განვითარების ინტერესებს.

ალ. ასათიანი. საქართველოს ბურჟუაზია ჯერ კიდევ ნორჩია და საჭიროა მისი გამაგრება. წარმოდგენილი შრომის ხელშეკრულება არ არის მისაღები სავესით. მაგალითად მუშების მიღების საკითხი არ უნდა ჰქონდეთ დაკისრებული შრომის ბირჟებს, ეს ვერ უზრუნველყოფს წარმოების ინტერესებს. ნარდათ მუშაობის მოსპობა თვით მუშათა კლასისთვის არის საზარალო მართალია ჩვენ პრინციპილურად მომხრე ვართ 8 საათის სამუშაო დღის, მაგრამ იგი არ უნდა იყოს მიღებული როგორც აბსოლუტური მცნება და ზოგიერთ შემთხვევაში უარი უნდა ვსთქვათ 8 საათის შემოღების შესახებ. საზიაროა აგრეთვე მუხლი, სადაც ლაპარაკი არის სალიკვიდაციო თანხებზე. სალიკვიდაციოს ამ სახით მიცემა ხელს შეუშლის წარმოების განვითარებას და ისედაც ვაძვირებულ ცხოვრებას უფრო გააძვირებს. შემდეგ აღნიშნავს, რომ ამ კანონ-პროექტის ძალით. ბევრი უფლებები ენიჭებათ პროფესიონალურ კავშირებს, რაც ყოველად მიუღებელიაო.

სიგვიანის გამო კამათი შესწყდა ბიუჯეტის განხილვისათვის კრება ნიშნავს ზედმეტ სხდომებს—ოთხშაბათს სლამოს 7 საათზე, ხუთშაბათს და პარასკევს ჩვეულებრივ დროს. სამშაბათს შესდგება ჩვეულებრივი სხდომა მორიგ საკითხების განსახილველად. სხდომის დახურვამდე კრება იღებს საბოლოო ტექსტებს ამავე სხდომაზე მიღებულ დეკრეტებისას.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

კრახინის მისია.
„ჰუმანიტე“ იუწყება: უკანასკნელ დღეებში ივლისის 10-მდე ლოიდ-ჯორჯის თანამშრომლებსა და კრახინის მისიის შორის არა ოფიციალური მოლაპარაკება სწარმოებდა. დათინებით ამბობენ, რომ მოსკოვის მთავრობამ გადასწყვიტა ინგლისის კაბინეტის პირობების სრულიად მიღება, მაგრამ მოკავშირენი ამაზე არ დასთანხმდნენ და არ დაუთმობდნენ, სანამ საბჭოთა მთავრობა არ აღიარებს ძველი რუსეთის ვალებს წდა არ მოგვეცეს იმის გარანტიებს, რომ მიღებულ პირობებს კეთილსინდისიერად შეასრულებს.

გენ. ვრანგელის არმიაში.
გენ. ვრანგელის სახალხო არმიის წარმომადგენლად პარაზში შჩერბაჩევის მაგივრად დანიშნული გენ. მილერი.

გუჩკოვი.
„დილი დელეგრაფი“ იუწყება, ყოფილი სამხედრო მინისტრი გუჩკოვი ევროპაში დიდ კონპანიას აწარმოებს ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევის დაწყების სასარგებლოდ. ამ ჯარისათვის საჭირო მასალის მისაწოდებლად შვეიცის ბანკებში მილიარდი მანეთი ინახებაო.

ვილსონი.
სარწმუნო ცნობების თანახმად პრეზიდენტი ვილსონი დათანხმებულია ლემბერში ხალხთა ლიგის პლენდუმის სხდომის მოწვევაზე.

საბჭოთა მთავრობა და ლლოიდ ჯორჯი.

„ტაიმსის“ ცნობით საბჭოთა მთავრობამ ლლოიდ ჯორჯის ნოტაზე უარით უპასუხა და განაცხადა, რომ მას არა სურს მონაწილეობა მიიღოს იმ კონფერენციაში, რომელიც ლლონტში შეიკრიბება. საბჭოთა მთავრობა ამბობს, რომ ინგლისი მიუდგომლად არ იქცევა ამ საკითხის გადაწყვეტაში. საბჭოთა მთავრობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას არ სურს ბალტიის სახელმწიფო. კონფერენციაში ჩარევა, რადგან მათთან ზავი უკვე შეკრულია. რაც შეეხება პოლონეთს, ნოტა მოითხოვს მათთან პირდაპირ მოლაპარაკების გამართვას. ამ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობა პოლონეთს აძლევს უფრო ხელსაყრელ საზღვრების გარანტიას, ვიდრე ლოიდ ჯორჯის ნოტაში არის აღნიშნული.

ნალმონის დაღუპვა.
22 ივლისის ახლოს იტალიის კონტრ ნალმონის „რაცა“, რომელიც დანიშნული იყო ლტოლვილთა გადასარჩენათ, დაეჯახა ნალმს და ჩაიძირა. კომანდირი, ოფიცრები და თითქმის მთელი ეკიპაჟი გადაარჩა.

ტყვეების გამოყვანა.
ხალხთა ლიგის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიანდო არტიოვ ნანსენს მოაწყოს ციმბირიდან ტყვეების გამოყვანა. ნანსენმა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის გამგესთან ერთად შეიმუშავა ტყვეების გამოყვანის გეგმა. სხვათა შორის ნანსენს მინდობილი აქვს ბერლინის, რიგის და თუ საჭირო იქნება მოსკოვის დათვალიერება.

ბოლშევიკები და პოლონელები.
„ორიენტისი“ იუწყება: საფრანგეთის წრეები გადმოგვცემენ, რომ ბოლშევიკები მხოლოდ მაშინ გამართვენ პოლონეთთან საზავო მოლაპარაკებას, როცა მოკავშირენი ოფიციალურად აღიარებენ საბჭოთა მთავრობასო.

ქალაქის სპა.
თანახმად მოსულ ცნობებისა, პატარა ქალაქი სპა, კონფერენციის დროს სრულიად შეიცვალა. ქალაქი ოფიციალურ და ნახევრად ოფიციალურ მხანველებით აივსა. ბევრმა სასტუმროებმა ველარ იშოვა ბინა და ვაკონება და ავტომობილებში ცხოვრობდა. სხვათა შორის პრესა აღნიშნავს, რომ ამ კონფერენციაზე მოკავშირეთა წარმომადგენლებმა პირველად ჩამორთვეს ხელი გერმანიის დელეგატებს.

ოსმალეთში.
„ტურნალ დორიენ“ იუწყება კონსტანტინოპოლში შავი ჭირის გავრცელების შესახებ.

გ ა თ მ ი.

ბათუმის მრეწველობის გამოკვლევა
ფინასთა და ვაჭრობის-მრეწველობის განსაკუთრებულმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა სამინისტროს ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილების უფროსი სამთო ინჟინერი ვ. გუნცაძე, ბათუმისა და მისი ოლქის სამრეწველო დაწესებულებების გამოკვლევა მოახდინა. კომისია გვეცნო დაწესებულებების საერთო მდგომარეობას, მათ ტენიკურ მოწყობილობას, წარმოებას და მის ნაყოფიერებას, მუშათა საკითხს და იმ მეზღებებს, რომლებიც ნორმალურ მუშაობის წარმოებას ხელს უშლის. კომისია თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ ბათუმის ოლქში დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთის პროდუქტების საექსპორტო ვაჭრობას, რომლის წყალობით შეიქმნა მთელი რიგი სათანადო დადაწესებულებებისა. ეს დაწესებულებები არის ოლქის შემოსავლიანი წყაროები. გარდა ამისა მოხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ძანსულის და კვარცხანის სპილენძის ქარხნებს. ძანსულის ქარხნის ნაყოფიერება დღეში 300350 ფუნტ—სპილენძს უდრის. საუცხოვოდ არის მოწყობილი აგრეთვე კვარცხანის ქარხანა. იგი წელიწადში 100000 ფუნტს სპილენძს აშხადებს. გამოიკვლევს აგრეთვე ყაფლანის თუჯის ქარხანა, 4 ტყავის, 4 თამბაქოს და ბევრი სხვა ქარხანა.

უცხო ვალიუბა.
საზოგადოება „ჩემომ“ ივლ. 1 გადასცა მთავრობას უცხო ვალიუბით მარგანეცში მიღებული ფული ქართულ ბონებზე გადასაცვლელად; 59000 გირ. სტერლინგი, 658000 ფრანკი და 272000 იტალიური ლირა.

გემი „პეტრე დიდი“.
დიდი ხნის შეჩერების შემდეგ ნოვორო-

სიისკიდან ბათუმში მოვიდა გემი „პეტრე დიდი“ ბოლშევიკების მინდატებით. გამოირკვა, რომ გემის კომანდა უარს ამბობს ნოვოროსისკის ნავთსადგურში დაბრუნებაზე.

ცნობები ყირიმის შესახებ.
ბათუმში მიღებულია ცნობები ყირიმის მდგომარეობის შესახებ. გენ. ვრანგელის „სახალხო ჯარს“ მთავარ სარდლის ბრძანებით „რუსეთის ჯარი“ დაერქვა. ჯარის მდგომარეობა ამ ეტაპად საკმაოდ მტკიცეა, მაგრამ შესაძლებლად სთვლიან, რომ ყირიმის ჯარი კვლავ ყირიმის კუნძულის ფარგლებში დაინეგს. ამიტომ კუნძულის ყელს გაფაციცებით ამარაგებენ, მიღებულია ზომები შემოდგომისათვის და ზამთრისათვის დიდძალი სურსათი სანოვაციის დასამზადებლად. უკანასკნელ დროს ვრანგელმა გამოაქვეყნა რამდენიმე ბრძანება, რომლებშიც იგი აღნიშნავს, რომ მას პოლონეთთან არავითარი ხელშეკრულება არ დაუდევს და რომ მისთვის მას არავითარი ტერიტორია არ დაუთმია. პოლონეთის სარდლობის წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ შეთანხმებულ სამხედრო მოქმედების შესახებ. ვრანგელის მთავრობა ყოველგვარ ზომას ღებულს, რომ გლეხობის თანაგრძობა დაიმსახუროს. ამ მიზნით ხორციელდება აგრარული რეფორმა, რომელმაც სრულიად ჩამოაშორა ვრანგელს მემარჯვენე ელემენტები, აგარიები და მსხვილი ბურჟუაზია.

ახალი ამბები

ზარალის გამორკვევა. ცენტრალურმა სტატისტიკურმა კომიტეტმა ბორჩალოს მაზრის ბაშკინეთის რაიონში საგანგებო კომისია გააგზავნა სტატისტიკის განყოფილებაში გამოსარკვევად.

„დედა ენის“ გამოცემა. „დედა ენის“ ორივე ნაწილი იბეჭდება ქალაქთა კავშირის სტამბაში და მზად იქნება პირველი სექტემბრისათვის. „დედა ენა“ პედაგოგთა სპეციალური კომისიის მიერ შესწორებული და შევსებულია მრავალი ახალი მოთხოვნით და სურათებით ისე, როგორც ამას მოითხოვს პედაგოგიკის უკანასკნელი სიტუცა და ჩვენი სკოლის საბოლოოდ მიღებული პროგრამა. ქალაქის უქონლობის გამო თითოეული ნაწილი იბეჭდება მხოლოდ ასი ათასი ცალი, რაც საეგზეთ ვერ დააკმაყოფილებს მოთხოვნას. სასურველია „დედა ენა“ სამართლიანად განაწილდეს რესპუბლიკის სკოლების შორის. ამიტომ საჭიროა ეროვნება და ყველა დაინტერესებულმა დაწესებულებამ აქედანვე გამოგზავნონ შეკვეთა და ბეც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. დამფუძნებელი კრების ქება № 5.

გვარდიის მამარაგება. გვარდიის მთავარი შტაბი იუწყება, რომ გვარდიის პურით მომარაგება სასურველად მიმდინარეობს საერთოდ იმედია, რომ გვარდიის მუდმივ ნაწილების უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება საკუთარ პურით. გარდა ამისა გვარდიას აქვს ზოსტენულობა, რომლის ნაწილი გვარდიას შეუძლია დაუთმოს კოპრეპრაციებს მცხოვრებთა მისაწოდებლად. ამასთანავე მიღებულია ზომები ტანისმოსით და სავსებით გვარდიის უზრუნველსაყოფად.

სახელმწიფო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს, რომ მისი აღები გამოცდები დანიშნულია პირველ სექტემბრისთვის და 20 სექტემბრამდინა გავრცელდება. ლექციების კითხვა პირველ ოქტომბრის დაიწყება. შემოდგომის სემესტრის დასრულება 30 დეკემბერს.

უნივერსიტეტის გამგეობამ ახალი პროფესორები მოიწვია: პროფ. მ. წერეთელი, ასირიულ ენის კათედრაზე, ა. ჯავახიშვილი და სხვ.
კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ფრონტზე. ზაქათალის ფრონტზე წავიდა კულტურულ-განმანათლებელი სექციის უფროსი პოლკ. ართემლადე, სექციის წარმომადგენლებს ფრონტზე დიდის სიხარულით შეხვდნენ და მათ საპატივცემლოთ დასდგეს ორი წარმოდგენა ჯარის-კაცთა მონაწილეობით. კულტურულ-განმანათლებელი სექციის წარმომადგენლებმა ჯ. კაცებს წაუკითხეს რამდენიმე ლექცია, მათ შორის ბათუმის საქართველოსთან შემოერთების, კულტურულ-განმანათლებელ სექციის და დისციპლინის მნიშვნელობისა და სხვა კითხვების შესახებ. ლექციების წაკითხვის შემდეგ მოაწვეეს ფიზიკური შეჯიბრებანი. ზაქათალის ფრონტზე მდგომ ჯარების ნაწილმა მადლომა გადუხნა კულტურულ-განმანათლებელ სექციას მუშაობისა და მათდამი გამოჩენილ ყურადღებისათვის.

მარგანეცის გატანა „ჩემოს“ საზოგადოებამ ფინანსთა მინისტრის მამართა განცხადებით, რომლითაც ითხოვს გაცემულ იქნას განკარგულება ბათუმის საბაჟოსადმი, რომ მარგანეცით გემების დატვირთვა ხდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ იქნება ვაჭრობის მინისტრის საგანგებო განკარგულება. მარგანეცით დატვირთული გემები არ უნდა გაუშვან ნავთსადგურიდან „ჩემოს“ ნებადართვებლად.

ლეკეშები

(საქართველო. დეკემბრის სააგენტო)
ფრანგული პრესა.
საფრანგეთის ჯარები.
გაზ. „ტან“-ს და „დეპას“ ატყობინებენ, რომ რკინის გზის ოკუპაცია სირიაში ნორმალურად მიმდინარეობს. შერიფის ჯარებს ამდენხანს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწყვიათ. ისინი უბრძოლველად უკან იხევენ. საფრანგეთის ჯარები ანტილივიანს მიუახლოვდნენ და ქალაქზე გაბატონებული მთები დაიჭირეს. ქალაქში მხოლოდ იმ შემთხვევაში შევლენ, თუ ამას სამხედრო საჭიროება მოითხოვს: საფრანგეთის ჯარები გაემართენ ალექსანდრეპოლისკენ, აქ მათ პარასკევს მიელოან.

ბოლშევიკების საფრანგეთს.
გაზეთ „მატენი“ იუწყება: გერმანიის რუმუნებულმა მილიერანის ყურადღება ბოლშევიკების საფრანგეთსკენ მიაქცია.

ოსმალეთი და ბოლშევიკები.
თანახმად კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობებისა ბოლშევიკებს ვანზახული აქვთ, რაც შეიძლება მოკლე დროში, ოსმალეთის ნაციონალისტებს დამხმარე ძალები გაუგზავნონ.

საბერძნეთის ჯარები.
„დეილი ექსპრესი“ საბერძნეთის ჯარების მიერ აღრიცხვით ოკუპაციის შესახებ იუწყება.

სამხედრო ოპერაციები სირიაში.
გაზეთ „მატენის“ ადამოკციებით საფრანგეთის ოპერაციები სირიაში სასურველად ვითარდება. ცალკედ და ალექსანდრეტიდან ჯარის ძლიერი ნაწილები ალექსანდრეტიდან გაემართენ.

იტალია და ალბანეთი.
როგორც გაზეთი „ექლიერი“ იუწყება დურაკოში იტალიასა და ალბანეთის შორის მოლაპარაკება განახლებულა. ფიქრობენ, რომ ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიღწევენ. ფაქტია, რომ ალბანეთის მთავრობამ 10 წლის სათადარიგონი გაიწვია.

საფრანგეთის ჯარების წინსვლა.
საფრანგეთის ჯარების წინსვლა სირიაში აიხსნება მით, რომ ემირმა ფაიქალმა ულტიმატუმზე პასუხის მიცემა დააგვიანა.

პოლონეთი და ხაბჭოთა რესეთი
მოსკოვიდან მოსული ჩიჩერინის მიერ ხელმოწერილი რადიო იუწყება, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ბრძანება გასცა წითელი ჯარის უმაღლეს სარდლობისადმი დიპლომის მოლაპარაკება პოლონეთის სამხედრო სარდლობასთან დროებითი ზავის შესაქრავად და მომავალი ზავისათვის მოსამზადებლად.

ნავთის კონვენცია
ოფიციალურად გამოაქვეყნეს ნავთის შესახებ შეთანხმებების ტექსტი, რომელსაც ხელი მოაწერეს მილიერანმა და ლოიდ ჯორჯმა. 1920 წ. აპრ. 24-ს სან-რემოში. ამ კონვენციის მიზანია, როგორც ეს მე-2 მუხლშია აღნიშნული, არის საბუნაგო კოოპერაციის დაარსება ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ნავთის შესახებ ორივე ქვეყნის ინტერესების კომბინაცია არის შესაძლებელი, ე. ი. რუმინეთში მცირე აზიაში, ყოფილ რუსეთის იმპერიაზე და საფრანგეთის და ინგლისის ახალშენებში.

კოკუზანის სააგენტოს ცნობები.
მარსელი, ივლ. 24. ბრინჯი—170 მ. მეხლო—95, კარტოფილის ფქვილი—125. ჰავრი—ივლისის 23. ივლისის ბაშა—688, აგვისტოსი—680, სექტემბრის—673. ლონი ივლ. 24. სევენის აბრემუმი—225, იტალიის—235, სირიის—200, იაპონიის—210, ჩინეთის—260, კანტონის—185.

მილერანის მოხსენება.
პარიზიდან იუწყებიან: მილერანმა სპის კონფერენციის შედეგებზე სენატს ახალი მოხსენება გაუკეთა, რომში დადავსა რა თავმჯდომარის მოქმედება მუშახარება გამოსთქვა, რომ გერმანიის მიერ ნაწილობრივ მიწოდება დამოკიდებულია მისთვის ავანსის მიცემაზე. შემდეგ რომში მოითხოვა ფინანსიური ექსპერტების კონფერენციის ვადადება.

საზოგადოებრივი მოსაზრებები

ფილიპი ივლ. 21. რიზა ტრეფიკ ბეი გაზ. „ალმედარი“ ამტკიცებს: ოსმალეთს არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა და იგი არც სასურველია მისთვის. ევროპელების ჩვენ საქმეებში ჩაურევლათ ჩვენ არ შევიძინებთ ვიცხოვროთ ისე, როგორც განათლებულმა სახელმწიფომო. ჩვენ რომ უცხოელთა ზედამხედველობის ქვეშ არ ვიყავით—ნახევარ საათში ჩამოვადგებდით ყოველგვარ მთავრობას, გავანადგურებდით უდანაშაულო ხალხის საცხოვრებლებს და სისხლით შევღებავდით სატახტო ქალაქის ქუჩებსაო. ტრეფიკ ბეი აღნიშნავს მცირე აზიის ამბებს და ამბობს: „ის სიკეთე“ რომელიც ქმალისტების ბანაკიდან გამოსულმა ულტრა-პატრიოტებმა მოუტანეს „ხალხსაო.“

ფრკიის უმაღლეს კომისრად დაინიშნა სახტრუსი.

ოსმალეთის პრესა მღელვარებით აღნიშნავს შექმნილ მდგომარეობას, გაზ. „აქგამში“ სწერს: პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენა მთავრობა და სახავო დელეგაციაო, სამეფო საბჭოს მოწვევის წინადადება დიდი სიხარულით მიიღეს. გაზეთების უმეტესობა ევედრება მთავრობას, რომ მან დაუყოვნებლივ ხელი მოაწეროს სახავო ხელშეკრულებას.

საბერძნეთის ჯარების მიერ მიღებულ ზომების წყალობით ბოსფორისა და მარმარილოს ზღვის აზიის ნაპირებზე სრული წესრიგია დამყარებული.

იტალიის რადიო-სადგურის ცნობა

ლონდონი. ივლ. 23 გაზეთების ცნობით პეკინში პანიკა მოსალოდნელ ომის გამო. ქალაქის ტიშკარს იცავს პოლიცია რათა ხელი შეუშალოს უცხო ჯარისკაცების ქალაქში შესვლას.

ლონდონი. „დეილ გაროდის“ ცნობით გუშინ ლოიდ ჯორჯმა უეცრად მოიწვია მინისტრთა საბჭოს სხდომა. მინისტრთა საბჭო იხილავდა სააქოთა რუსეთის პასუხს ლოიდ ჯორჯის ნოტაზე.

მუშა-მოსამსახურეთა ერთდროული დახმარება.

(საქართველო პალატის 1920 წ. 23 ივლისის დადგენილება კერძო საზოგადოებრივ და სახელმწიფო წარმოებათა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთისათვის ერთდროული დახმარების მიცემის შესახებ).

§ 1. ყველა კერძო დამქირებელი და აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, ვალდებული არიან მისცენ ყველა მუშა-მოსამსახურებს, რომლებიც 23 ივლისისთვის იმყოფებიან სამუშაოზე და რომელთა სამუშაო ხელფას აწესრიგებს სატარიფო პალატა, ერთდროული დახმარება ერთი თვის ხელფასთა რაოდენობა, მაგრამ არა უმეტეს 2000 მან., ქვემოხსენებულ წესრიგის მიხედვით.

§ 2. უფლება ერთდროულ დახმარებისა აქვთ: 1) მუშებსა და მოსამსახურებს, რომლებიც მუდმივ სამუშაოზე არიან დაქირავებულნი; 2) მუშებსა და მოსამსახურებს, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო სამსახურში მობილიზაციის გამო, ერთი თვის მთელი ხელფასის რაოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 3 ათას მანეთისა, გარდა ოფიცრებისა, სამხედრო მოხელეებისა და ექიმებისა; 3) მუშებსა და მოსამსახურებს, რომლებიც დროებით სამუშაოთ არიან დაქირავებულნი, თუ ისინი 23 ივლისამდე არა ნაკლებ ორი კვირისა მუშაობდნენ სამუშაოზე; 4) მუშა-მოსამსახურებს, რომლებიც იღებენ ჯამაგირს წარმოებიდან და დაწესებულებებიდან სახალხო გვარდიაში ყოფნის დროს და მიუხედავად იმისა, თუ ვისგან იღებენ ხელფასს; 5) მუშა-მოსამსახურებს, რომელნიც დროებით განთავისუფლებულნი არიან სამსახურიდან ავთომყოფობით და საზოგადო წესის მიხედვით; 6) მუშა-მოსამსახურები, რომლებიც სახალხო გვარდიელების სახლში ვაშვებულების, ავადმყოფების და მობილიზაციით ჯარში გაწვეულების მაგვრად არიან ან დროებით დაქირავებულნი. თუ ისინი 23 ივლისამდე მსახურობდნენ არა ნაკლებ ორი კვირისა.

§ 3. ნაკრობით მომუშავენი იღებენ შემწეობას საერთო წესით, ამ დადგენილების მიხედვით სამი უკანასკნელი თვის ხელფასიდან საშუალო თვიური ქირის ანგარიშით, იმ შემთხვევაში, თუ ნაკრობითი მუშაობა სწარმოებს სატარიფო პალატის მიერ დაწესებულ ნაკრობითი მუშაობის ტარიფების მიხედვით.

§ 4. მუშა-მოსამსახურებს, რომლებიც მუშაობდნენ პირველ ივლისის შემდეგ, ანდა და-

თხოვნილი არიან 23-31 ივლისის დროს განმავლობადის, ერთდროული დახმარება იქლევ ივლისში ფაქტიურ ხელფასის რაოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 3000 მან.

§ 5. ჯილდო ზედმეტ და კვირა-უქმე დღეებში მუშაობისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს შემწეობის ანგარიშში.

§ 6. მუშა-მოსამსახურები, რომლებსაც ერთს ან ორ წარმოებაში ან დაწესებულებაში ორი თანამდებობა უკავიათ, იღებენ შემწეობას მხოლოდ ერთ ძირითად თანამდებობაზე.

§ 7. სახლში მომუშავეებს აქვთ შემწეობის მიღების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ითვლებიან ამ წარმოების მუდმივ მუშებად.

§ 8. მუშა-მოსამსახურები, რომლებიც იღებენ ჯამაგირს ნაწილობრივ პროცენტულ ჯილდოს ან და მუშტარისაგან ფასის სახით (პარაკმახერები, მექსინები და სხ.) იღებენ შემწეობას, ტარიფში დაწესებულ სამუშაო ხელფასის რაოდენობით.

§ 9. მუშა-მოსამსახურები, რომლებიც იღებენ ხელფასს ნატურით, აქვთ შემწეობის მიღების უფლება მხოლოდ ფულად მისაღებ ხელფასის რაოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1200 მან.

§ 10. ერთდროული შემწეობის მიღების უფლება არა აქვთ პროცენტებზე მომუშავე მუშა-მოსამსახურებს (ოფიცინტები, პარიკმახერები და სხ.).

§ 11. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების დროს აღარ უფლება გაუგებრობანი გადაწყდება სატარიფო პალატის პრეზიდიუმის მიერ.

თავმჯდომარე სატ. პალ. ი. გოდდანი. მიღიანი ი. ტრემანი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა მოწმობა № 887 ელენე გრიგოლის ასული ცინითათორიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან, რომ მის ხარჯზე ცხოვრობს ხუთი სული. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1956 3-2

დაიკარგა ნუსხა № 18 დლოსტი ალექსანდრეს ძე მიქიაშვილის სახელზე, მიღებული ონის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1969 3-2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნინო გრიგორის ასული უზნაძის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1920 წ. მარტის 10 რეესტრით № 657. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1958 3-2

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის 7 კლ. დამთავრების ატესტატი № 340 და ამავე სასწავლებლის მე-8 კლ. დამთავრების მოწმობა № 242 სალომე ნოზრევანის ასული ალაფიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1959 3-2

დაიკარგა უფადო პასპორტი ეკატერინე ივანეს ასული ვორონოვის სახელზე, მიღებული ტფ. მდამიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1954 3-2

გურჯაანის უზნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვლებულ 1920 წელს მიიღეს 2 დღეს ქვრივ ელისაბედ აბრამის ასულ კარბელაშვილის ფხალაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება აღნიშნულ კარბელაშვილ-ფხალაძის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაზე სამოქ. სამ. კან. კრებ. 1241 მ. აღნიშნულ ვადაზე. 1968 3-2

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების მოწმობა № 53 ივანე გიორგის ძე პეტრიაშვილის სახელზე, მიღებული დაბა ონის, რაქის მაზრისა, სამხედრო საკრებულოდან 1906 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3-2

დაიკარგა მოწმობა № 5456 მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საექიმო ფაქულტეტის მეორე სემესტრის სტუდენტის დავით ვლადიმერის ძე კაპანაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1924 3-2

დაიკარგა პასპორტი № 3528 არტემი ვისპარის ძე აგეტიკოვის სახელზე, მიღებული ეკატერინოპოლის სასახურის ნაციონალურ საბჭოდან 1918 წ. თებერვლის 28-ს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1942 3-2

